



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 076/10¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ანა ლიპარტელიანი (სტუდენტი)

ფაქტები

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2010 წლის 29 სექტემბერს მიიღო განჩინება გ.დ.-ის წარმომადგენლის თ.წ.-ს შუამდგომლობის განუხილველად დატოვების თაობაზე, რის გამოც ადვოკატმა თ. წ.-მ 2010 წლის 30 სექტემბერს წარადგინა მოსამართლე ნ. დ.-ს აცილების შესახებ შუამდგომლობა, რომელშიც ადვოკატი მოსამართლის მიმართავდა ფრაზებით: „სასამართლო გგონიათ სავაჭრო დაწესებულება“, „ყველა თქვენსავით მდიდარი გგონიათ“, „უსამართლო და დარდიმანდული დამოკიდებულება გაქვთ ადამიანის უფლებების მიმართ“, „დაარღვიეთ კანონი განზრახ“, „მიიღეთ უუნარო გადაწყვეტილება“. თბილისის საქალაქო სასამართლომ მიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ თ. წ.- სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

სამართლებრივი შეფასება

საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში, ადვოკატის შუამდგომლობაში მოცემული მიმართვები მოსამართლისა და მის მიერ განხორციელებული სამართალწარმოების მიმართ („დაარღვიეთ კანონი განზრახ“, „მიიღეთ უუნარო გადაწყვეტილება“, „საჩივარი ვერ დააკმაყოფილეთ უსაფუძვლობის გამო“; „სასამართლო გგონიათ სავაჭრო დაწესებულება“, „ყველა თქვენსავით მდიდარი გგონიათ“, „უსამართლო და დარდიმანდული დამოკიდებულება გაქვთ ადამიანის უფლებების მიმართ“) ეკუთვნის ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროს და არ წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაძლო დარღვევას, რომლის თანახმად ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს სასამართლოში მოქმედ ქვეყნის წესებს. კოლეგიამ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციით დაცულ ყოველი ადამიანის უფლებაზე, თავისუფლად გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით და სხვა საშუალებით და რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს სასამართლო ხელისუფლების ინტერესებიდან გამომდინარე. საპროცესო კოლეგიამ ჩათვალა, რომ ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შეხედულებები მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის თაობაზე იმ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების“ გათვალისწინებით, რომელსაც მათი პროფესია აკისრებთ, ხოლო განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატის შუამდგომლობა მოიცავდა ადვოკატის მოსაზრებებს მოსამართლის მიერ განხორციელებული სამართალწარმოების მიმართ და სამართალწარმოების საფუძველზე ჩამოყალიბებულ მოსაზრებას უშუალოდ მოსამართლის თაობაზე. საპროცესო კოლეგიის განმარტებით, გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი. მით უფრო, რომ მოსამართლეებს, როგორც საჯარო მოხელეებს, გააჩნიათ, თმენის ვალდებულება მათ მიმართ გამოთქმული მოსაზრებების მიმართ. კოლეგიამ ჩათვალა, რომ ადვოკატმა თ. წ.-მ სათანადოდ განმარტა მის მიერ გამოთქმული მოსაზრებების შინაარსი და წინაპირობები, ასევე ის გარემოება, რომ შუამდგომლობა

¹ <https://gba.ge/pdf/5c4ec98f902e2.pdf/5c4ec98f902e2.pdf>

მიზნად ისახავდა არა მოსამართლის შეურაცხყოფას, არამედ მისი კლიენტის ინტერესების დაცვას. კერძოდ, საპროცესო კოლეგია დაეთანხმა ადვოკატის განცხადებებს, რომ მის მიერ შუამდგომლობაში გაჟღერებული ფრაზები ემსახურებოდა არა სასამართლოსადმი უპაივცემულების გამოხატვას, არამედ სამართალწარმოებაში კონკრეტული ადვოკატის აზრით არსებულ პრობლემებზე აქცენტირებას, ხოლო ამის ფონზე, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ზიანს მიაყენებს ადვოკატის ინტერესს თავისუფალი მონაწილეობა მიიღოს სამართალწარმოების პროცესში და გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები სამართალწარმოების შესაძლო ხარვეზების თაობაზე, რასაც ექნება „შემზღუდველი ეფექტი“. საპროცესო კოლეგიამ მიუთითა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ადვოკატის დაცვის გარანტიებზე კლიენტის სასარგებლოდ გაკეთებული განცხადებების მიმართ, კერძოდ: „ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე“. აღნიშნული ნორმა არ გულისხმობს ადვოკატისათვის შეუზღუდავი დაცვის გარანტიების მინიჭებას. ადვოკატისათვის კანონმდებლობით მინიჭებული იმუნიტეტი ექვემდებარება შეზღუდვას იმ შემთხვევაში, თუ მისი განცხადებები წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების ან მოსამართლის შეურაცხყოფას ან სხვაგვარად ზიანს აყენებს სამართალწარმოების ინტერესს. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი მოქმედებდა კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული დაცვის გარანტიების ფარგლებში და მიუხედავად იმისა, რომ შუამდგომლობაში მოცემული განცხადებები მწვავე და კრიტიკული შინაარსის იყო, ისინი არ სცილდებოდა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე განცხადებების გაკეთების უფლებამოსილების საზღვრებს. ამასთან, კოლეგიამ მიუთითა, რომ ადვოკატი თ.წ-ს შუამდგომლობის შეფასებისას იხელმძღვანელა მთლიანი შუამდგომლობის მიხედვით და არა მხოლოდ ცალკეული ამონარიდების თანახმად. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიამ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ შუამდგომლობა, კრიტიკული განცხადებების გარდა, შეიცავდა მოსამართლისადმი პატივისცემის გამომხატველ განცხადებებს, როგორცაა „თქვენო ღირსება“, „მოკრძალებით“ და „კარგად მოეხსენება თქვენს ღირსებას“ და ასევე ის გარემოებაც, რომ შუამდგომლობა გრამატიკულად თავაზიან ფორმატშია დაწერილი. საპროცესო კოლეგია გადაწყვეტილების გამოტანისას დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის პრაქტიკას, გადაწყვეტილებაში მიუთითა ამონარიდები მათი ცალკეული გადაწყვეტილებებიდან და ჩათვალა, რომ შუამდგომლობაში მოცემული მწვავე და კრიტიკული განცხადებები, რომელიც შესაძლოა არ არის მოსაწონი და მისაღები სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლისათვის, თუმცა ისინი არ არის შეურაცხყოფელი ხასიათის და მიზნად არ ისახავს მოსამართლის ღირსების შელახვას, აღნიშნული განცხადებები სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე სამართლებრივი დაცვით. შესაბამისად, გამოთქმული მოსაზრებები არ წარმოადგენს ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს, რადგან აღნიშნული მოსაზრებები არ არის უხამსი და არ არღვევს საზოგადოებაში დამკვიდრებულ მორალის ნორმებს. საპროცესო კოლეგიის მიერ თ. წ.-ს მოსაზრებები შეფასდა, როგორც სასამართლოს მძაფრი და ემოციური კრიტიკა, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ საქმის გარემოებებთან და მიმართულია კლიენტის ინტერესების დაცვისკენ.

დასკვნა

საპროცესო კომისიამ მიიჩნია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადვოკატის მიერ სასამართლოსა და ცალკეული მოსამართლის მიმართ გაკეთებული მწვავე განცხადებები, არ არის შეურაცხყოფელი ხასიათის, ვინაიდან მიზნად არ ისახავს მოსამართლის ღირსების შელახვას და მიეკუთვნება კლიენტის ინტერესების დაცვისა და გამოხატვის თავისუფლების სფეროს.